



# პოლიტიკის დოკუმენტი N2023/08

## მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულება: 2023 წლის მიმოხილვა

ნოემბერი 2023

**ავტორები:**

მერი ჯულაყიძე  
ანა ბურდული  
გიორგი პაპავა

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოლიტიკას.

## საერთაშორისო კონტექსტი<sup>1</sup>

უკანასკნელ წლებში გაციფრულება კვლავაც განაგრძობს გლობალური კონტექსტის გარდაქმნას და გავლენას ახდენს ცხოვრების და ბიზნესის კეთების ყველა ასპექტზე. პანდემიამ დააჩქარა ციფრული ტექნოლოგიების ათვისება და ის კრიტიკულ ფაქტორად აქცია ბიზნესების სიცოცხლისუნარიანობისთვის.

საქართველოს კერძო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების ათვისების მიმართულებით გარკვეული პროგრესი დაფიქსირდა 2023 წლის დასაწყისში. გაუმჯობესება განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მსხვილი ზომის ფირმებში ღრუბლოვანი სერვისების გამოყენების მიმართულებით. თუმცა, მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული პერფორმანსი მხოლოდ ზღვრულად გაუმჯობესდა, შესაბამისად, შენარჩუნდა საგულისხმო სხვაობა მცირე და საშუალო საწარმოებსა და მსხვილ საწარმოებს შორის.

თუ ქართული მცირე და საშუალო საწარმოების ციფრულ განვითარებას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისას შევადარებთ, დავინახავთ მცირე გაუმჯობესებას საბაზისო ციფრული ინტენსიურობის მიმართულებით, რაც მოიცავს დახვეწილი ფუნქციონალის მქონე ვებგვერდის გამოყენებას და სწრაფ ფართოზოლოვან კავშირს. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების კუთხით მხოლოდ შეზღუდული პროგრესი დაფიქსირდა. მათ შორის განსაკუთრებული გაუმჯობესება შეინიშნა ERP სისტემების ათვისების მიმართულებით. რაც შეეხება ელექტრონულ კომერციას, ქართული კომპანიების მხოლოდ 3%, მათ შორის როგორც მსხვილი, ისე მცირე და საშუალო საწარმოები, ყიდის პროდუქციას ონლაინ, რაც მიანიშნებს ამ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობაზე.

უკანასკნელ ხანებში კერძო სექტორის მხარდაჭერისა და მისი გაციფრულებისკენ მიმართული ძალისხმევა მოიცავს სხვადასხვა ინიციატივისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამის გზით ციფრული უნარების განვითარებას. მთავრობა მუშაობს ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მცირე და საშუალო საწარმოებზე მორგებული მხარდაჭერის შეთავაზებაზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი ნათელია, მნიშვნელოვანი კოორდინირებული ძალისხმევა კვლავ საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოების გასაძლიერებლად და უფრო მეტად ციფრულად ინკლუზიური მომავლის შესაქმნელად.

<sup>1</sup> ეს პოლიტიკის დოკუმენტი 2023 წლის მაისში გამოქვეყნებული მსგავსი დოკუმენტის განახლებული ვერსიაა. ის მოიცავს უახლეს მონაცემებს ქართული საწარმოების შესახებ და წარმოაჩენს უახლეს ტენდენციებს მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მიმართულებით.

## საერთაშორისო კონტექსტი

დიגיტიზაცია არის პროცესი ცვლილებებისა, რომლებსაც ციფრული ტექნოლოგიები იწვევს ან განაპირობებს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში<sup>2</sup>. ბიზნესთან დაკავშირებით, ეს გულისხმობს ციფრულ სიახლეებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნეს მოდელებზე და ამა თუ იმ პროდუქტის შექმნასა თუ მომსახურების მიწოდებაზე. ამგვარად, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ დიგიტიზაცია დღითი დღე სულ უფრო მეტ მნიშვნელოვნებას იძენს თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც დიდწილად კონკურენციის პრინციპს ეფუძნება.

ერნსტ ენდ იანგის სტატიის თანახმად (2018)<sup>3</sup>, ბიზნესის გაციფრულება მჭიდროდაა დაკავშირებული მის ეფექტურობასთან. ციფრული კუთხით განვითარებული კომპანიები გამოირჩევიან პროდუქტიულობითა და ზრდის სწრაფი ტემპით, აგრეთვე, კადრების ნაკლებად გადინებით. უფრო მეტიც, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 2015 წლის კვლევამ<sup>4</sup> აჩვენა, რომ პროდუქტიულობა 5%-დან 10%-მდე უფრო სწრაფად იზრდება იმ კომპანიებში, რომლებიც მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიტიკურ ციფრულ ტექნოლოგიებში დებენ ინვესტიციებს.

საინტერესოა, რომ ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ეფექტიანი მეთოდი აღმოჩნდა კომპანიებისთვის ეკონომიკურ კრიზისებთან გასამკლავებლად, მაგალითად, პანდემიის დროს. და მართლაც, მსოფლიო ბანკის ბიზნესის გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ იმ მაღალიზიური კომპანიების გაყიდვები, რომლებმაც კრიზისის დროს ციფრულ გადაწყვეტილებებში ჩადეს ინვესტიციები, 12 პროცენტული პუნქტით უფრო ნაკლებით შემცირდა იმავე ზომის კომპანიებთან შედარებით, რომლებსაც ამგვარი ინვესტიცია არ განუხორციელებიათ.

ამგვარად, პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა გაციფრულების, როგორც ბიზნესის მოქნილობის განმაპირობებელი ფაქტორის, მნიშვნელობა და ამავდროულად ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან სხვაობას მცირე და საშუალო საწარმოებსა და დიდ საწარმოებს შორის ციფრული ათვისების კუთხით. როგორც 1-ელი გრაფიკი გვიჩვენებს, ევროკავშირში არსებული კომპანიები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან ციფრული გადაწყვეტილების დანერგვის მხრივ, როგორც საბაზისო ციფრული გადაწყვეტილებების (მაგ.

<sup>2</sup> Stolterman, Erik & Fors, Anna. (2004). Information Technology and the Good Life. International Federation for Information Processing Digital Library; Information Systems Research; 143.


<sup>3</sup> Baldwin & Jesca Bax, (2018). How to Unlock Europe's digital growth potential.

<sup>4</sup> OECD. (2015). Data-driven innovation: big data for growth and well-being.

საწარმოს რესურსების დაგეგმარების), ისე მოწინავე ტექნოლოგიების (მაგ. ხელოვნური ინტელექტის) შემოღების მხრივ.

საინტერესოა ისიც, რომ დაბალი საბაზისო ეფექტის გამო, ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში იწვევს პროდუქტიულობის უფრო მეტად ზრდას. OECD-ის 2020 წლის კვლევის თანახმად<sup>5</sup>, რომელიც 10 წევრ სახელმწიფოში ჩატარდა, ონლაინ პლატფორმების გაზრდილმა გამოყენებამ პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია იმ სექტორებში, რომლებიც ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოებისგან შედგება (მაგ. მასპინძლობა და საცალო ვაჭრობა).

**გრაფიკი 1. გაციფრულების ინდიკატორები (საწარმოების %)<sup>6</sup>, 2021<sup>7</sup>**



წყარო: ევროსტატი, ევროკავშირის კვლევა საწარმოებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ელექტრონული კომერციის გამოყენების შესახებ  
შენიშვნა: მცირეა საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 10-249 ადამიანი

<sup>5</sup> Costa et al. (2020) as cited in [World Bank \(2022\). Digitalizing SMEs to Boost Competitiveness.](#)

<sup>6</sup> AI – ხელოვნური ინტელექტი; IoT – ნივთების ინტერნეტი; ERP – საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემა; CRM – მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა. ამას გარდა, სწრაფი ფიქსირებული ინტერნეტი განიმარტება როგორც 30 მბ/წ-ზე მაღალი მაქსიმალური სიჩქარის ინტერნეტი, ხოლო ინდიკატორი ვებგაყიდვები გულისხმობს იმ საწარმოების წილს, რომელთა ბრუნვის 1%-ზე მეტი ვებგაყიდვებიდან დაგენერირდა და ვებგაყიდვების 10%-ზე მეტი B2C ტიპის იყო.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულება ევროპული კომისიის დღის წესრიგში დგას. მთავარი სტრატეგიული დოკუმენტით „გზა ციფრული ათწლეულისკენ“ განსაზღვრული მიზნების თანახმად, ევროკავშირში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სულ მცირე 90%-მა უნდა მიაღწიოს ციფრული განვითარების საბაზისო დონეს<sup>8</sup> 2030 წლისთვის. ეს სამიზნე მაჩვენებელი განსაკუთრებით ამბიციური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კრიტერიუმს 2022<sup>9</sup> წლის მდგომარეობით ევროკავშირში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 69% აკმაყოფილებდა.

## საქართველოს მაგალითი

გაციფრულება განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიის დროს, როდესაც დაჩქარებული სოციალური დისტანცირების რეგულაციების გამო, მრავალმა ბიზნესმა დაიწყო ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს, ძირითადად, ეხებოდა ბიზნესების ისეთ „ფრონტ-ენდ“ ფუნქციებს, როგორცაა ციფრული გაყიდვები, მარკეტინგი და სხვ. მიუხედავად ამისა, ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ინერგება „ბექ-ენდ“ პროცესებში, რაც ხელს უწყობს ბიზნესის საქმიანობის უფრო მარტივად და ეფექტურად წარმართვას.

სამწუხაროდ, საქართველოს კერძო სექტორის მოწყვლად ნაწილს, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოებისგან შედგება, შეზღუდული წვდომა აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებზე. სურათი, რომელსაც მე-2 გრაფიკი გვიჩვენებს, კიდევ უფრო შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოების 99.7%-ს სწორედ მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ. დასაქმებულთა 60.1% მცირე და საშუალო საწარმოებშია დასაქმებული, აგრეთვე, აღნიშნული საწარმოების წილი ეკონომიკური გამოშვების მაჩვენებელში 2022 წელს 51.4%-ს შეადგენდა<sup>10</sup>. დროით კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები 2023 წლის იანვრის მდგომარეობით გარკვეული გაუმჯობესებით ხასიათდება 2022 წლის იანვართან შედარებით, როგორც მცირე და საშუალო, ისე მსხვილი საწარმოების


<sup>8</sup> ციფრული ინტენსივობის შეფასება ეფუძნება, თუ რამდენ ტექნოლოგიას იყენებენ საწარმოები 12 შერჩეული ტექნოლოგიიდან. იმისათვის, რომ ჩაითვალოს, რომ კომპანიამ მიაღწია საბაზისო მაჩვენებელს, აუცილებელია, იყენებდეს სულ მცირე 4 ტექნოლოგიას.

<sup>9</sup> European Commission (2023). Digital Economy and Society Index 2023.

<sup>10</sup> საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წწ.

შემთხვევაში. თუმცა, სხვაობა ამ ორი ტიპის საწარმოს შორის ნარჩუნდება ყველა მიმართულებით.

**გრაფიკი 2.** მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ციფრული ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებლები მსხვილ საწარმოებთან შედარებით.



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: მცირე საწარმოებად განისაზღვრა საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულია 1-249 ადამიანი


## ციფრული უნარები

მცირე და საშუალო საწარმოებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკონომიკაში ციფრული უნარები. საქართველოს მოსახლეობაში ციფრული უნარების დონე ცხადყოფს, რომ ზოგადი სურათი არც თუ ისე სახარბიელოა, რადგან ITU-ის<sup>11</sup> თანახმად, 2021 წელს, ქართველების მხოლოდ 36% ფლობდა საბაზისო ციფრულ უნარებს, 12% სტანდარტულ უნარებს, ხოლო განვითარებული ციფრული უნარ-ჩვევებით მოსახლეობის მხოლოდ 1% ხასიათდებოდა. ამის საპირისპიროდ, DESI-ის 2022 წლის

<sup>11</sup> Digital Development Dashboard, ITU as cited in [Georgia Digital Ecosystem Country Assessment \(DECA\)](#), PMCG (2023).

გამოშვების მიხედვით, ევროკავშირის მოსახლეობის 54%-ს 2021 წლისთვის ათვისებული ჰქონდა სულ მცირე საბაზისო ციფრული უნარები. საინტერესოა, რომ საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ ევროკავშირს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც. როგორც მე-3 გრაფიკი გვიჩვენებს, 2019 წელს ბიზნესის ლიდერებმა საქართველოს მოსახლეობის ციფრული უნარები 3.66 ქულით შეაფასეს 1-დან (მინიმალური დონე/უნარების არ ქონა) 7-მდე (ბრწყინვალე უნარები) სკალაზე. ამგვარად, საქართველო ჩამორჩება სომხეთსა და მოლდოვას. თუმცა, მიუხედავად ამ ზოგადი არასახარბიელო სურათისა, შეინიშნება გარკვეული პროგრესიც. უფრო ზუსტად, ბიზნესის უნარებთან დაკავშირებული მოთხოვნების 2020 წლის კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტმა საწარმოებმა საინფორმაციო და საკომუნიკაციო-ტექნოლოგიური უნარების ფლობის მაჩვენებელი საშუალო 3.9 ქულით შეაფასეს 1-დან (მნიშვნელოვნად არაკომპეტენტური) 5-მდე (კომპეტენტური) სკალაზე, რაც ყველაზე მაღალი შეფასებაა სამუშაო ადგილზე საჭირო იმ ყველა სხვა უნარს შორის, რომელიც კვლევის ობიექტს წარმოადგენდა (მაგ. მოლაპარაკების ხელოვნება, ლიდერობა და ა.შ.). 2017 წლის იგივე მაჩვენებელი 2.9 ქულა იყო (ყველა სხვა უნარს შორის ყველაზე დაბალი შეფასება).

**გრაფიკი 3.** ციფრული უნარების მაჩვენებელი მოსახლეობაში 1-დან (მინიმალური დონე/უნარების არ ქონა) 7-მდე (ბრწყინვალე უნარები), შეფასებული ბიზნეს ლიდერების მიერ, 2019 წ.



წყარო: მსოფლიო ბანკი

არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საქართველოს მოსახლეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური უნარების შემდგომი განვითარების მიზნით, საჯარო და კერძო სექტორის მიერ რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა. მაგალითად, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ციფრული

ეკონომიკის უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამის ფარგლებში წარმატებით გადამზადდა და სერტიფიცირდა 3,000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე (აღსანიშნავია, რომ მათ 31%-ს ქალები შეადგენდნენ). ამჟამად, GITA მიზნად ისახავს, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში გადამზადებული ადამიანების რაოდენობა 15,000-მდე გაზარდოს. გარდა ამისა, ICT კლასტერი მის წევრ კომპანიებთან ერთად მუშაობს ისეთი მოდელის შემუშავებაზე, რომელიც დაეხმარება საგანმანათლებლო ორგანიზაციებს კერძო სექტორის მიმდინარე საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკული მიდგომების გამომუშავებაში<sup>12</sup>. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო ICT მოდულები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია. დაბოლოს, ამ ბოლო პერიოდში რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან გამოცდილი ICT სპეციალისტების შემოდინება, სავარაუდოდ, დადებით გავლენას იქონიებს საქართველოში ICT უნარების განვითარებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანი კოორდინირებული ძალისხმევა ჯერ კიდევ კრიტიკულია ამ მიმართულებით.

## საბაზისო ციფრული ინტენსივობა

საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული განვითარების დონე შესაძლოა შეფასდეს რამდენიმე ასპექტით: საბაზისო ციფრული ინტენსივობა, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია და ელექტრონული კომერცია. ეს მიდგომა იმეორებს ევროკავშირის კომისიის ციფრული ეკონომიკის და საზოგადოების ინდექსის მეთოდოლოგიას. ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ საქართველოს მიერ გაცხადებული, ერთსულოვანი მიზნიდან გამომდინარე, წინამდებარე ანალიზში სამიზნედ მიჩნეულია ევროკავშირის მაჩვენებლები<sup>13</sup>. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორთა უმრავლესობის შემთხვევაში, ევროკავშირისთვის უკანასკნელი ხელმისაწვდომი მონაცემების თარიღია 2021 წელი<sup>14</sup>. საქართველოს მონაცემები, რომლებიც დათარიღებულია 2021 წლით, ასახავს მდგომარეობას 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, ხოლო 2022 წლით დათარიღებული მონაცემები შესაბამისად ასახავს 2023 წლის იანვრის მდგომარეობას.

<sup>12</sup> PMC კვლევა, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა – მეორე ანგარიში (2023).


<sup>13</sup> მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ეს ანალიზი აღქმული უნდა იქნას იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის მონაცემებისთვის მცირე და საშუალო საწარმოებად კლასიფიცირებულია საწარმოები 10-249 დასაქმებულით, მაშინ როცა საქართველოს მონაცემებში მცირედ ან საშუალოდ აღიქმება საწარმო 1-249 დასაქმებულით. კლასიფიკაციებს შორის ეს განსხვავება ქვემოთ მიმართულ მიკერძოებას ქმნის საქართველოს მონაცემებისთვის ევროკავშირთან შედარებით.

<sup>14</sup> <https://digital-decade-desi.digital-strategy.ec.europa.eu/datasets/desi/indicators#desi2023-3>



უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ორი ინდიკატორის საფუძველზე ვაფასებთ საბაზისო ციფრულ ინტენსივობას (საქართველოს მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით): იმ მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წილი, რომელთაც ვებგვერდებსაც აქვთ გარკვეული კომპლექსური ფუნქციური შესაძლებლობები, და იმ მცირე და საშუალო საწარმოების წილი, რომელთაც წვდომა აქვთ მაღალსიჩქარიან ფიქსირებულ ფართოზოლოვან ინტერნეტზე.

**გრაფიკი 4.** საბაზისო ციფრული ინტენსივობა



წყარო: ევროსტატი, საქსტატი

როგორც მე-4 გრაფიკი გვიჩვენებს, საქართველოში არსებულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში საბაზისო ციფრული ინტენსივობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. მაგალითად, 2021 წელს საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 8%-ს ჰქონდა დახვეწილი ფუნქციონალის მქონე ვებგვერდი, მაშინ როცა იმავე პერიოდში ევროკავშირისთვის ანალოგიური მაჩვენებელი ბევრად მაღალ ნიშნულს, 63%-ს აღწევდა. განსხვავება შედარებით ნაკლებია, როდესაც საქმე ეხება ფიქსირებული ფართოზოლოვანი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მქონე საწარმოებს (საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების 30%, ევროკავშირში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების 48%-თან შედარებით 2021 წელს). 2022 წლის მონაცემები დადებით ტენდენციას ცხადყოფს საქართველოსთვის ორივე აღნიშნული მეტრიკის მიმართულებით, რამდენადაც თითოეული 2 პროცენტული პუნქტიანი გაუმჯობესებით ხასიათდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მთავრობა არ იშურებს ძალისხმევას, აღმოფხვრას მნიშვნელოვანი სხვაობა ციფრული განვითარების მხრივ ქალაქებსა და სოფლებს შორის. უფრო კონკრეტულად, საქართველოს „ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის

განვითარების სტრატეგია და მისი 2020-2025 წლების განხორციელების გეგმა“ მიზნად ისახავს: 1) საქართველოს ტერიტორიის 99%-ში 4G ფართოზოლოვანი მობილური ინტერნეტ კავშირის წვდომის უზრუნველყოფას; 2) ყველა ინსტიტუციური ერთეულისათვის 1 გბიტი/წმ სიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის უზრუნველყოფას; და 3) თითოეული ოჯახისათვის ფართოზოლოვანი სწრაფი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფას<sup>15</sup>.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ შესაფერისი ინფრასტრუქტურის უქონლობა კვლავ მოიაზრება ქართული საშუალო და მცირე საწარმოების გაციფრულების შემაფერხებელ გარემოებად, ის შესაძლოა შედარებით უმნიშვნელო მიზეზად ჩაითვალოს. თუმცა სხვა საკითხია ამგვარი ინფრასტრუქტურის ფინანსური ხელმისაწვდომობა. PMCG-ის<sup>16</sup> თანახმად, ეროვნულ დონეზე ინტერნეტზე წვდომის საშუალო ფასი მიზანშეწონილია, თუმცა ფოკუს ჯგუფის ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კორპორატიული ტარიფის პაკეტები ძვირია და არ არის მორგებული ბიზნესის ზომაზე.


## ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია

შეფასების კიდევ ერთი კრიტერიუმი უკავშირდება „ფრონტ-ენდ“ (მაგ., სოციალური მედია) და „ბექ-ენდ“ (მაგ. ERP) ტექნოლოგიების ინტეგრაციას ყოველდღიურ ბიზნეს ოპერაციებში. უფრო ზუსტად, ჩვენ ვუყურებთ ოთხი ტიპის ტექნოლოგიის დანერგვის მაჩვენებელს, ესენია: ERP, სოციალური მედია, Cloud მებსიერება და ხელოვნური ინტელექტი.

<sup>15</sup> ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.

<sup>16</sup> [Georgia Digital Ecosystem Country Assessment \(DECA\)](#), PMCG (2023).

**გრაფიკი 5. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია**



წყარო: ევროსტატი, საქსტატი

მე-5 გრაფიკი გვიჩვენებს, რომ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს ციფრული ინტეგრაციის ყველა ძირითად ასპექტში. მაგალითად, ქართული მცირე და საშუალო საწარმოების მხოლოდ 3% იყენებდა დრუბლოვანი გამოთვლების სისტემებს 2021 წელს, რაც აშკარა კონტრასტს ქმნის ევროკავშირის 40%-თან შედარებით. ამ ინდიკატორების დინამიურ პერსპექტივაში დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველა ინდიკატორი დადებითი ტენდენციით ხასიათდება, გარდა ხელოვნური ინტელექტის ათვისებისა. უფრო ზუსტად, დრუბლოვანი გამოთვლების სერვისების ათვისება, ისევე როგორც ისეთი ბიზნესების წილი, რომლებიც ორ ან მეტ სოციალური მედიის არხს იყენებენ, ერთი პროცენტული პუნქტით გაიზარდა 2022 წელს. ამ დროს, ERP-ის ათვისების ზრდა შედარებით მეტად იყო გამოხატული და 3 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ის ფაქტი, რომ ქართული მცირე და საშუალო საწარმოები ჩამორჩება სამიზნე ნიშნულს, შეიძლება აიხსნას, მათ შორის, დაბალი ინფორმირებულობით ჩამოთვლილი ტექნოლოგიების პოტენციური სარგებლის შესახებ. უფრო მეტიც, ფინანსური წინაღობები, საჭირო უნარების ნაკლებობა ადგილობრივ დონეზე და არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა შესაძლოა დამატებით შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენდეს მოწინავე ტექნოლოგიების

ინტეგრირების პროცესში. ამ მიმართულებით მთავრობას გარკვეული ნაბიჯები აქვს გადასადგმელი როგორც პირდაპირ, ისე ირიბად. Growth Hub-ების (რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების) ჩამოყალიბებას, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით, სათავეში ედგა სააგენტო „აწარმოე საქართველოში“. ამ პროგრამის მიზნების მისაღწევად, სააგენტომ დანიშნა ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტები, რომლებიც შეიმუშავებენ მცირე და საშუალო საწარმოებზე მორგებულ ყოვლისმომცველ ციფრული ტრანსფორმაციის გეგმებს. ეს გეგმები მოიცავს რეკომენდაციებს საჭირო ციფრული უნარების ტრენინგების შესახებ, ისევე როგორც რჩევებს იმ ციფრული ხელსაწყოების და გადაწყვეტების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ გააუმჯობესონ შიდა პროცესები.


## ელექტრონული კომერცია

დაბოლოს, ჩვენ შევეცადეთ შეგვეფასებინა საქართველოს მდგომარეობა ელექტრონული კომერციის გამოყენების მხრივ. საქართველოში ონლაინ გაყიდვების მაჩვენებელი სამჯერ გაიზარდა 2020 წელს და ვარაუდობენ, რომ კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო ნაერთი წლიური ზრდის ტემპი (CAGR) 52%-ს შეადგენს 2021-2025 წლებში<sup>17</sup>.

თუმცა ამ ეტაპზე საქართველოს მოღვაწეობა ელექტრონულ კომერციაში კვლავ ძალიან მცირეა. როგორც მე-6 გრაფიკი აჩვენებს, საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის მაჩვენებლებს. უფრო ზუსტად, საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხოლოდ 2% ყიდდა პროდუქტსა თუ მომსახურებას ონლაინ 2021 წელს, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი ევროკავშირის ევროკავშირის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის 19%-ს აღწევდა იმავე წელს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაჩვენებელი ოდნავ გაუმჯობესდა 2022 წელს, მნიშვნელოვანი სხვაობა ევროკავშირის მაჩვენებელთან მიმართებით კვლავ შენარჩუნდა. რაც შეეხება საზღვარგარეთ გაყიდვებს, საქართველო აქაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირს.

<sup>17</sup> „გალტ & თაგარტი“ (2021). ელექტრონული კომერცია საქართველოში.

## გრაფიკი 6. ელექტრონული კომერცია



Source: Eurostat; Geostat.

ქართული ელექტრონული კომერციის ასეთი ჩამორჩენა ევროკავშირის მაჩვენებლებთან შედარებით შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ინსტიტუციური, პოლიტიკური და ფინანსური გამოწვევით, რომელსაც, ერთი მხრივ, აწყდებიან ქართული მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც ონლაინ გაყიდვების დაწყება სურთ, და, მეორე მხრივ, ქართველი მომხმარებლები, რომლებიც განიხილავენ ონლაინ ყიდვის შესაძლებლობას, განსაკუთრებით ადგილობრივ ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე. აღნიშნული გამოწვევები მოიცავს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს, უსაფრთხო გადახდის საშუალებებისა და ადგილობრივი ფინანსური ტექნიკური მომსახურების მომწოდებლების ნაკლებობას, საცალო მოვაჭრეებისთვის ელექტრონული კომერციის პლატფორმების შექმნასთან დაკავშირებულ მაღალ ხარჯებს და ა.შ.<sup>18</sup>

აღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად მნიშვნელოვანი ძალისხმევაა მიმართული. არსებობს მთელი რიგი მიზნობრივი პროგრამებისა, რომლებსაც ადმინისტრირებას უწევენ „აწარმოე საქართველოში“ და GITA, რათა გაიზარდოს მცირე და საშუალო საწარმოების მზადყოფნა ელექტრონული კომერციის, როგორც გაყიდვების არხის, გამოყენების მიმართ.

<sup>18</sup> PMC კვლევა, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა – პირველი ანგარიში (2021), USAID (2021).

უფრო მეტიც, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილი ელექტრონული კომერციის მიმდინარე რეფორმა მიზნად ისახავს საქართველოს ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციას ევროკავშირის მარეგულირებელ ჩარჩოსთან. დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებები ეხება მომხმარებელთა უფლებებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვას, გადახდის მომსახურებებს და ა.შ. ამ ინიციატივების კვალდაკვალ, ელექტრონული კომერციის კანონი, რომელიც მიღებულ იქნა 2023 წლის 12 ივნისს, კრიტიკულ როლს ითამაშებს ადგილობრივი ელექტრონული კომერციის ბაზრის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, დაარეგულირებს შუამავალი სერვისის მიწოდებლების უფლებებსა და მოვალეობებს და დაიცავს მომხმარებელთა უფლებებს ონლაინ ვაჭრობისას.

## გამოწვევებთან გამკლავება და წინსვლა

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის კრიზისმა კომპანიებს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარების სტიმული მისცა, ამ პროცესს საქართველომ დამატებითი პოლიტიკის შემუშავებით უნდა შეუწყოს ხელი. ჭეშმარიტად ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად საჭირო იქნება ყოვლისმომცველი, მთავრობათაშორისი მიდგომა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საუკეთესო ხარისხი და ხელმისაწვდომ ფართოზოლოვან ინტერნეტ კავშირზე წვდომა. საჭირო იქნება ციფრული პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშემწყობი მარეგულირებელი გარემოს შექმნა და, ამავდროულად, მომხმარებელთა ნდობის მოპოვებისა და უსაფრთხოების ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანია ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებაც. ეს ძალისხმევა კომბინირებული უნდა იყოს მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მხარდაჭერის ინსტრუმენტებთან<sup>19</sup>.

მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულებისკენ მიმართული მზარდი ყურადღების მიუხედავად, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ციფრული ათვისების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რისი გამომწვევი პოტენციური მიზეზები უნდა გადაიჭრას სათანადო პოლიტიკის შემუშავებით.

**ICT უნარების ნაკლებობა** – ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე ინიციატივის განხორციელება, რომლებიც, ვიმედოვნებთ, წარმატების მომტანი იქნება პრობლემის გადასაჭრელად. პროექტ Log-In Georgia-ს ერთ-ერთი კომპონენტი ეხება რეგიონებში ელექტრონული მომსახურებების, ელექტრონული კომერციის, ელექტრონული სწავლების და ელექტრონული მმართველობის სასწავლო და განვითარების ხელშემწყობ პროგრამებს. ისინი უკვე წამოწყებულია ოთხ

<sup>19</sup> OECD (2022), Fostering Business Development and Digitalization in Georgia.

მუნიციპალიტეტში და ამ დრომდე ჩატარებულ 180 ტრენინგს ითვლის ციფრული წიგნიერებისა და ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების მიმართულებით. 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია და პროფესიული განათლების 2021-2025 წლების სტრატეგია, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს სტუდენტების ციფრული კომპეტენციების და დისტანციური სწავლების შემდგომ განვითარებას. საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა კერძო სექტორის ICT საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შესამუშავებლად.

**ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა** შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად ქართული საწარმოების მიერ საბაზისო ციფრული ინტენსივობის მიღწევის, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების და ელექტრონულ კომერციაში ჩართვის პროცესში. უფრო მეტიც, სექტორისა და ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის თანახმად, ქვეყანაში საწარმოების გაციფრულების დაფინანსების პროგრამების ნაკლებობაა. EU4Digital (2020) რეკომენდაციას უწევს დაფინანსების ისეთ ალტერნატიულ მეთოდებს, როგორცაა crowdfunding და ანგელოზი ინვესტორები, საქართველოში არსებულ მცირე და საშუალო საწარმოებში ციფრული ინოვაციების დასაწერგად. ალტერნატიული და ციფრული ფინანსირების საშუალებების შემდგომი განვითარება შესაძლებელია სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესების გზით (მაგ., მარეგულირებელი სავარჯიშოები, ანგელოზი ინვესტორების სამართლებრივი განმარტება, ევროკავშირის საწარმოს კაპიტალის (VC) მოწინავე რეგულაციებთან ჰარმონიზაცია და ა.შ.).

**ინფორმირებულობის ნაკლებობა კერძო სექტორში** – მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ხელმისაწვდომი ციფრული ტექნოლოგიებისა და მათი უპირატესობების შესახებ ცოდნის ნაკლებობა არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აღრმავებს უფსკრულს მათსა და დიდ საწარმოებს შორის<sup>20</sup>. კერძო სექტორის წარმომადგენლები ხშირად გაციფრულებას აიგივებენ არა შესაძლებლობებთან, არამედ ზედმეტ ხარჯებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ბევრი აქვს გასაკეთებელი საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შესამუშავებლად, როგორცაა მაგალითად ზემოთ ხსენებული ზრდის ჰაბები. ციფრული ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგია (რომლის შემუშავებაც ამჟამად ხორციელდება სამინისტროს მიერ) შესაძლოა მოიცავდეს სწორედ ასეთ ინიციატივებს. უფრო მეტიც, აკადემიურ წრეებსა და სამოქალაქო საზოგადოებასაც შეუძლიათ ჩაერთონ გაციფრულების უპირატესობების შესახებ ქართული მცირე და საშუალო საწარმოების ცნობიერების ამაღლების პროცესში. ერთ-ერთ ასეთ ინიციატივას ამჟამად ახორციელებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA) და ISET-

<sup>20</sup> PMC კვლევა, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის სექტორების და ღირებულებათა ჯაჭვების ანალიტიკა – მეორე ანგარიში (2021).

ის კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც თანამშრომლობენ მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების ინდექსის შესაქმნელად.

დაბოლოს, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, პროგრამები, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების წახალისებისა და მხარდაჭერისკენ, უნდა იყოს ორიენტირებული ოთხ ძირითად მიმართულებაზე (როგორც ეს განსაზღვრულია ორგანიზაცია Interreg Europe-ის მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობის 2022 წლის დოკუმენტით): 1) ცნობიერების ამაღლება, 2) მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული განვითარების დონის შეფასება, 3) ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა; და 4) კომპლექსური მიდგომების გამოყენება.



# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით. ინსტიტუტის საქმიანობის საგანს წარმოადგენს როგორც კვლევითი და საკონსულტაციო საქმიანობა, ისე ტრენინგებისა და დისკუსიების ორგანიზება საჯარო პოლიტიკის ირგვლივ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას. ინსტიტუტის მიზანია, საქართველოსა და რეგიონის მასშტაბით წვლილი შეიტანოს ეკონომიკის, განათლების, დემოკრატიული მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

---

**ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი**

[www.iset-pi.ge](http://www.iset-pi.ge)

[iset-pi@iset.ge](mailto:iset-pi@iset.ge)

+995 322 507 177